

ქეთევან იოსელიანი

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა
კოიმბრას უნივერსიტეტი, პორტუგალია

2025 წლის გაზაფხულის სემესტრში, როგორც კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტს, მქონდა შესაძლებლობა სწავლა გამეგრძელებინა ერასმუსის გაცვლითი პროგრამით კოიმბრას უნივერსიტეტში. ეს იყო გამოცდილება, რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა, როგორც ჩემი აკადემიური, ისე პირადი ცხოვრება.

კოიმბრაში გატარებულმა პერიოდმა ბევრი რამ მასწავლა, პირველ რიგში, დამოუკიდებლობა და პრობლემების მარტივად გადაჭრა. გარდა ამისა, განსხვავებულ აკადემიურ სისტემაში მუშაობისა და ახალი სასწავლო მეთოდების ათვისების პროცესმა ჩამომიყალიბა სწრაფი ადაპტაციის უნარი.

მინდა ვაღიარო, რომ ჩემთვის ემოციურად რთული იყო ქვეყნის დატოვება, თუმცა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი. ამ პერიოდმა, ისე როგორც არასდროს, დამარწმუნა ევროპული განათლებისა და ღირებულებების აუცილებლობაში. სხვადასხვა ქვეყნები, სხვადახვა კულტურა, ენა, თუმცა ერთი პროგრამა, ერთი ქალაქი, ერთი უნივერსიტეტი, რამაც გამიმყარა რწმენა, რომ ერთიანობა მრავალფეროვნებაშია.

მიუხედავად იმისა, რომ გზად ბევრი სირთულე შემხვდა, ყველაზე რთული მაინც ბოლო დღები იყო, დღეები, როდესაც ყველაფერთან გამომშვიდობება მიწევდა. გამგზავრებამდე მონდეგუს ნაპირზე ვიდექი, კიდევ ერთხელ ვაკვირდებოდი ისტორიულ შენობებსა და მანტიიან სტუდენტებს, ნელ-ნელა ვაცნობიერებდი, რომ ვტოვებდი არა მხოლოდ ქალაქს, არამედ ადგილს, რომელიც ჩემი იდენტობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

დრო გადის, მაგრამ მჯერა, რომ ყველა ადამიანი, ყველა ქუჩა და ყველა მომენტი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.